ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი№7

დაბა ქედა,

23 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა 16:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე- კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
თეონა ჯინჭარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვის დს ბუნებრივი რესურსების საკითხების თავმჯდომარე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

23.12.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის (10 დეკემბრის მდგომარეობით) განხილვა;

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

1.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის (10 დეკემბრის მდგომარეობით) განხილვა.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი 10 დეკემბრის მდგომარეობით და კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილ ბიუჯეტში ასახული ცვლილებები (წერილის ნომერი:N:12-95223437-95, 09.12.2022).

საკითხის განხილვის შემდეგ კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე;

2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ამომრჩეველთან შეხვედრა - მიმდინარე წელში	ყოველთვიურად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2022 წლის IV კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	იანვარი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
6	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება-მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის პირველი კვარტლის წარმოდგენილი სამუშაო გეგმა კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მომზადებულად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმა და საკითხი ჩაითვალოს მიზანშეწონილად ბიუროს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ 16:30 საათზე კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი
საკრებულოს კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით
თეონა ჯინჭარაძე